საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი #7
09.12.2015

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**9 დეკემბერი, 2015 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
შეხვედრის მონაწილეები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''თავმჯდომარე
შტეფან შტორკი	საოპერაციო განყოფილების უფროსის მოადგილე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
ნინო ყოჩიშვილი	პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
პაპუნა შენგელია	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ნინო ბერძული	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
ელზა ჯგერენაია	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სოფიო ბერიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი
დანიელ გახარია	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი
ნინო ელბაქიძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი
დავით კალატოზიშვილი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი
გიორგი ნანობაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia) ეკონომიკური განვითარების გუნდის უფროსი

ირინა წეროძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
თამარ სამხარაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA) უმაღლესი განათლების პროექტის დირექტორი
ვულფ შმიდერი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი
ოლივერ დიზი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
მაია ასათიანი	სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი
ანასტასია ქიტიაშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) პროექტის ,,პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი
შორენა შიუკაშვილი	ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
მარიამ ბიწაძე	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი
ლელა მაისურაძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ქრისტინა გოროდნიჩევა	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**ფასილიტატორი/მომხსენებელი**
მოხსენება 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ	**ირინა წეროძე,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი; **ელზა ჯგერენაია,** შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი.
საკითხი #2	
საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“	**შტეფან შტორკი,** ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

გათვალისწინებული EU მისიის შუალედური შეფასების შედეგები	**ნინო ყოჩიშვილი,** პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
საკითხი #3	
ინფორმაცია ტვინინგის კონტრაქტის „დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება საქართველოში“ შესახებ	**ტიბორ ბორბელი პეცზე,** უცხოელი მრჩეველი
საკითხი #4	
საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ფარგლებში ტექნიკური დახმარების პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმოხილვა	**ვულფ შმიდერი,** საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი. **ოლივერ დიზი,** საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, პროფესიული განათლების პოლიტიკის ექსპერტი.

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები და წარადგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ქ-ნი ნინო ბერძული.

ქ-ნი ნინო მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სამინისტროსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2013 წლის დეკემბერში გაფორმებული ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ საფინანსო შეთანხმება. ასევე, ქ-ნმა ნინომ ხაზი გაუსვა ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის სპეციფიკას. მისივე თქმით, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტისა და ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ექსპერტების მიერ, სტრატეგიული დოკუმენტების საფუძველზე, შემუშავებულია საერთო სამოქმედო გეგმა. ქ-ნმა ნინომ მადლობა გადაუხადა ევროკავშირის წარმომადგენლობას დახმარებისთვის და დასძინა, რომ აღნიშნული გარემოება ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' თავმჯდომარემ მომხსენებლებს სთხოვა, წარმოედგინათ მოხსენება 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ირინა წეროძემ, ისაუბრა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების შესრულების შესახებ. ქ-ნმა ირინამ, ასევე, აღნიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) მხარდაჭერით, შემუშავებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WBL) კონცეფციის პროექტი.

ვინაიდან, შეხვედრის მონაწილეებს არ ჰქონდათ შეკითხვები პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მიერ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სიტყვა გადასცა მეორე მომხსენებელს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ელზა ჯგერენაიას.

დღის წესრიგის შესაბამისად, ქ-ნმა ელზამ ისაუბრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების შესრულების შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ გარდა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის - შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ, განხორციელდა კვლევა. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა დასაქმებულ შშმ პირთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულებათა და შშმ პირთა დასაქმების შემთხვევებში მაკრო და მიკრო გარემო ფაქტორების გამოვლენას. კვლევის შედეგებზე დაყდნობითა და დამსაქმებლის ინტერესების გათვალისწინებით, მომზადდება რეკომენდაციები, შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამებისა და სერვისების განვითარების შესახებ.

რაც შეეხება, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცის 1.2 კომპონენტის ,,დასაქმების ხელშეწყობის სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი'' შესრულებას, ქ-ნმა ელზამ დასძინა, რომ ტექნიკური დახმარების პროექტის ექსპერტების, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის დარგის მოწვეული ექსპერტისა (ქ-ნი მარტინა ლუბიოვა) და შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებისგან შემდგარი თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, შემუშავებულია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კონცეფციის პროექტის პირველადი ვერსია. მიმდინარე წლის 26 ნოემბერს, გაიმართა აღნიშნული კონცეფციის პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. 2015 წლის 27 ნოემბერს, კონცეფციის პროექტი განსახილველად გაეგზავნა ჩართულ უწყებებს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების დამუშავება.

საბჭოს სხდომის მონაწილეებს ჰქონდათ რამდენიმე შეკითხვა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ქ-ნმა ელზამ განავრცო საკითხი და დაინტერესებულ მხარეებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

დღის წესრიგის შესაბამისად, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სთხოვა ქ-ნ ნინო ყოჩიშვილს და ბ-ნ შტეფან შტორკს, ესაუბრათ, საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული EU მისიის შუალედური შეფასების შედეგებზე.

ბ-ნმა შტეფანმა ისაუბრა ოთხი ძირითადი და სფეციფიკური მოთხოვნის შესრულების მნიშვნელობასა და სტატუსზე. მან ხაზი გაუსვა პოლიტიკის მატრიცის R1.2.1 პუნქტს (შესაბამისი სამთავრობო უწყების(ებ)ის) მიერ დამტკიცებულია შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შესახებ კონცეფცია ევროკავშირის შესაბამისი პრაქტიკის გათვალისინებით) და R2.2.1 (პროფესიულ მასწავლებელთა მინიმუმ 30% მონაწილეობს მასწავლებელთა განვითარების პროგრამასა და შესაბამის აქტივობებში) ქვეპუქტებს. ბ-ნმა შტეფანმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კომპონენტი განხორციელების ეტაპზეა და იმედი გამოთქვა, რომ პროცესები შედეგიანად დასრულდება და შეიქმნება შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები. მისივე თქმით, შეფასების მისია ჩამოვა 2016 წლის თებერვლის ან მარტის თვეში.

დასასრულს, ბ-ნმა შტეფანმა დასძინა, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, შესამჩნევია პროგრამის მიმდინარეობის დიდი პროგრესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, იგი მხარს უჭერს პროგრამის ბენეფიციარებს, დასახული მიზნების მიღწევაში.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა ისაუბრა პოლიტიკის მატრიცის ნაწილობრივ შესრულებულ აქტივობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსრულებელი აქტივობების შეფასება მოხდეს არა მიმდინარე წლის ბოლოს, არამედ მესამე ტრანშის შეფასებისას. კერძოდ, შესრულებულად ჩაითვალოს არა 2016 წლის 1-ელ იანვრამდე განხორციელებული საქმიანობა, არამედ მონიტორინგის მისიის ჩამოსვლამდე - 2016 წლის მარტის ბოლოს განხორციელებული აქტივობები. საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ამ მოსაზრებას და ქ-ნ ნინო ყოჩიშვილს ეთხოვა, აღნიშნული პოზიციის წარდგენა ევროკავშირის სპეციალური სამსახურისთვის.

ქ-ნმა ნინომ ისაუბრა ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში დარჩენილ თანხებზე. მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია, დარჩენილი თანხები მოხმარდეს ცნობიერების ამაღლების კომპონენტს, რაც ხელს შეუწყობს განხორციელებული აქტივებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, ქ-ნმა ნინომ დასძინა, რომ თანხების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ბენეფიციარები უნდა შეთანხმდნენ მიმდინარე წლის ბოლოსთვის, ვინაიდან პროგრამაში ცვლილების განხორციელების საკითხის სათაო ოფისში განხილვას გარკვეული დრო სჭირდება.

ქ-ნი ქეთევანი დაეთანხმა ქ-ნ ნინოს, რომ ცნობიერების ამაღლების კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია და მოიწონა წარმოდგენილი შემოთავაზება.

დღის წესრიგის შესაბამისად, ქ-ნმა ქეთევანმა სთხოვა ბ-ნ ტიბორს, წარმოედგინა ინფორმაცია, ტვინინგის კონტრაქტის „დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება საქართველოში“ შესახებ.

ბ-ნმა ტიბორმა დეტალურად ისაუბრა ტვინინგის პროექტის „დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება საქართველოში“ მიმდინარე და სამომავლო საქმიანობის შესახებ. მისივე თქმით, პროექტი მიმდინარე წლის აგვისტოდან დაიწყო და 2017 წლის იანვრამდე გაგრძელდება. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამის დეპარტამენტის გამართულ მუშაობას. პროექტის ფარგლებში, იგეგმება შრომის ბაზრის საინფორმაციო ვებ-პორტალის worknet.gov.ge სრულად გამართვა და დახვეწა, დასაქმების შესაძლებლობის კანონმდებლობის მიმოხილვა და ჩეხეთისა და სლოვაკეთის გამოცდილების გაზიარება.

დამსწრე საზოგადოებას არ ჰქონდა შეკითხვები ბ-ნ ტიბორთან, შესაბამისად, ქ-ნმა ქეთევანმა სიტყვა გადასცა ბ-ნ ვულფ შმიდერს და ბ-ნ ოლივერ დიზის.

ბ-ნმა ვულფმა ვრცლად ისაუბრა ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის“ ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბენეფიციარებთან მუშაობა მიმდინარეობს ერთობლივად შედგენილი მატრიცის მიხედვით. აღინიშნა, რომ მატრიცის საფუძველზე ფორმირებულია შიდა თემატური სამუშაო ჯგუფები. ბ-ნმა ვულფმა ხაზი გაუსვა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგების საჭიროების ანალიზს და აღნიშნა, რომ უკვე დაწყებულია ტრენინგების განხორციელება. პროექტის ბენეფიციართა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მიმდინარე წლის სექტემბერში განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში, სადაც ხორვატიის მაგალითზე იქნა განხილული სამი სფერო: 1) დასაქმების ხელშეწყობა და კარიერის დაგეგმვა, 2) სოციალური პარტნიორობა, 3) შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვა და განვითარება.

ბ-ნმა ოლივერმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების კომპონენტში, 2016 წლის მატრიცა უკვე შემუშავებულია. ამასთან, მიმდინარე წლის მატრიცა მოიცავდა 79 აქტივობას, რომელთაგანაც 80-90% უკვე დასრულებულია. მისივე თქმით, 2016 წლიდან დაგეგმილია გარკვეული პროგრამების შემუშავება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. დამატებით, ბ-ნმა ოლივერმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს შემუშავებულ იქნა მატრიცის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლითაც შესაძლებელია სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

ვინაიდან, დამსწრე საზოგადოებას არ ჰქონდა შეკითხვები ბ-ნ ვულფთან და ბ-ნ ოლივერთან, ,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' თავმჯდომარემ, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა.